F 567 ~ 3156


იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა სპორტი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი
№ 14 (132)
სექტემბერი,
1965 წელი

ქუთაისი — ახალმშენებლობათა ქალაქი



დღითიდღე ლამაზდება და მშვენდება ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი. ფართო მოასფალტებული ქუჩები და პროსპექტები, რომლებიც ორივე მხარეს დამშვენებულია უხვი მწვანე ნარგავებით, ფერადფერად ხალიჩებად გადაჭიმული ბაღები და სკვერები, გაზონები, რომელთა იქითაც აღმართულია ლამაზი მრავალსართულიანი შენობები, ასეთია დღეს სავარდო და სამაისო ქუთაისი.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქში საბინაო მშენებლობა. ყოველწლიურად ათასობით მშრომელი ზეიმობს ახალმოსახლეობას კეთილმოწყობილ ბინებში.

ამასწინათ ხარაჩოები შემოხსნეს რვასართულიან საცხოვრებელ სახლს გორისა და რუსთაველის ქუჩების კუთხეში. ასამდე ოჯახმა მიიღო ამ ლამაზ შენობაში ბინის გასაღები.

სურათზე: ქუთაისი დღეს. ახალი საცხოვრებელი სახლი გორისა და რუსთაველის ქუჩების კუთხეში.

ვარსკვლავთა სპექტრების კატალოგი

აბასთუმანი. ვარსკვლავთა სპექტრების კლასიფიკაციის დარგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია წამყვანი ობსერვატორიაა ჩვენს ქვეყანაში. ვარსკვლავთა სპექტრების კატალოგში, რომელსაც აი უკვე შვიდი წელია ადგენენ აქ ამ კლასიფიკაციის საფუძველზე, შეტანილია 25-ათასზე მეტი ვარსკვლავი.

ეს არის გალაქტიკის იმ ნაწილების ციური ობიექტები, რომლებიც ასტროფიზიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ამ ბოლო დროს — ეგრეთწოდებული ასოციაციები და დიფუზურ-ემისიური ნისლეულები (გაზების თუ კოსმოსური მტვრის გროვები). ამ ადგილებში დღესაც იქმნება ვარსკვლავები.

„ახალგაზრდა ვარსკვლავთა" შესწავლა მოგვცემს პასუხს საკითხზე, მათი ევოლუციის შესახებ, — უთხრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა რაისა ბართაიამ. შორეულ ვარსკვლავთა სპექტრების ასეთი თვისებრივი გამოკვლევა შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ვიყენებთ 70 სანტიმეტრიან მენისკის ტელესკოპს, რომელსაც ორი ობიექტივისწინა პრიზმა აქვს. მძლავრმა და სრულყოფილმა ტელესკოპმა, აგრეთვე აბასთუმნის შესანიშნავმა ატმოსფერულმა პირობებმა საშუალება მოგვცეს შეგვემუშავებინა ვარსკვლავთა ორზოვიანი სპექტრული კლასიფიკაცია.

ჰიდროგენერატორების „მკურნალი"

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა გრიგოლ კოსტანიანმა და „სელმთავარენერგოს" ინჟინერმა გიორგი თუთუგამ შეიმუშავეს მილისატურული ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც გამოავლენენ სხვადასხვა უწესივრობას ჰიდროელექტროსადგურების გენერატორთა მბრუნავი ნაწილების გრაგნილის იზოლაციაში. ენერგეტიკული ბანძანების ეს თავისებური „მკურნალი" დაეხმარება ელექტრიკოსებს სწრაფად აღმოაჩინონ ხოლმე დეფექტები მუდმივი დენის ელექტრული სქემების იზოლაციაში და დროზე გამოძებნონ ამ უწესივრობათა გამოსავლინებელი ყველაზე ეფექტიანი მეთოდები.

წინათ მუდმივი დენის გენერატორების იზოლაციაში გარღვევათა აღმოსაჩენად იყენებდნენ რთულ აპარატურას და მრავალ მათემატიკურ გაანგარიშებას. მაგრამ ეს ოპერაციები, რომლებსაც დიდი ენერგია და დრო სჭირდებოდა, მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას აძლევდა სპეციალისტებს სადენთა იზოლაციის მდგომარეობის შესახებ.

ახლა მარტივი ელექტრული სქემის მოწყობილობა საშუალებას აძლევს ოპერატორებს სწრაფად აღმოაჩინონ უწესივრობანი ელექტრულ ჯაჭვებში. ამ ხელსაწყოს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს. მისი საშუალებით შეიძლება შემოწმდეს ერთბაშად რამდენიმე „პაციენტი"—მძლავრი ჰიდროგენერატორები.

საქართველო სპეციალისტების მიერ შექმნილი ხელსაწყო დაიდგა ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემის ბევრ ჰიდროელექტროსადგურში. მისი გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ჰიდროგენერატორების მუშაობის ხანგამძლეობა და საიმედოობა.

თბილისის მეტროს მშენებლობაზე

მარჯანიშვილის მოედანზე დაიხურა ჭალაქის ერთ-ერთი საუკეთესო კაფე „მეგობრობა". რუხსვეტებიან მარმარილოს დარბაზში მშენებლებმა პატარა სარკმელებიანი ტიხარი დადგეს, მასიური მოჩუქურთმებული კარის ნაცვლად ლითონის მბრუნავი კარი ჩამოჰკიდეს. დრო მოვიდა და შენობა გადაეცა თავის ნამდვილ პატრონებს — მეტრომშენებლებს.

სამი თვის შემდეგ სადგურ „მარჯანიშვილის მოედნის" ზემო ვესტიბიული, რომელშიც დროებით კაფე იყო, ისევე როგორც თბილისის მეტროს დანარჩენი ხუთი სადგური, მგზავრებს მიიღებს.

ჯერჯერობით კი აქ მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. ბეტონითა და მარმარილოთი იმოსებიან სადგურის მიწისქვეშა და ზედა ვესტიბიულები, მონტაჟდება ესკალატორები, ბეტონდება რელსები. „მარჯანიშვილის მოედნის" სადგურში უჩვეულო სურათს წავაწყდით: რელსებზე მიდიოდა... ავტომობილი. ეს თბილისის მეტროს მშენებლობის ერთ-ერთი სიახლეა. „გაზ-52" კონტეინერებით დაჰქონ ბეტონი, რომელსაც აქვე ასხამენ რელსებს შუა — ეს კიდეც აჩქარებს მუშაობას და ხელსაყრელიც არის.

გვირაბის სიღრმეში ყოველ ორ-სამ წუთში იფეთქებს ხოლმე ნაპერწკლების ფეიერვერკი.

ჩვენ გამოვიკითხეთ, რა სპეციალობის ხალხი სჭირდებათ ახლა განსაკუთრებით. „მებეტონეები, მემონტაჟეები, შემდუღებლები" — გვიპასუხეს მეტრომშენებლებმა. გვირაბგამყვანები? ბევრმა მათგანმა პროფესია გამოიცვალა. მაგალითად, გრუზო ობოლაძე ახალგაზრდული სავზურით მოვიდა თბილისის მეტროს მშენებლობაზე რიგით გვირაბგამყვანად. მალე სათავეში ჩაუდგა სამმართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ბრიგადას. მართლაც კარგი ოსტატი უნდა იყო, მძიებლის დიდი ალღო უნდა გქონდეს, რომ არათუ საკუთარი თავი, არამედ მთელი ბრიგადაც დაუზღვიო ყოველგვარი მოულოდნელობისაგან, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ელის გვირაბგამყვანს.

გრუზომ იხუმრა, თბილისის მეტრო მსოფლიოში უყვებიან თბილი იქნებაო. ეს მართლა ხუმრობა როდია. თითქმის ყველა სადგური მიწისქვეშა თბილი წყაროების მეზობლად მდებარეობს. წყაროებს მოულოდნელად აღმოაჩენდნენ ხოლმე იქ, სადაც სრულიად არ ელოდნენ. ცხელი წყალი დატბორავდა ხოლმე გვირაბებსა და სანგრევებს. ინჟინრებმა შეიმუშავეს მიწისქვეშა გვირაბების დამორჩილების პროექტი, გვირაბგამყვანებმა კი ამ პროექტს ხორცი შეასხეს. მათ გვირაბი გაიყვანეს თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტამდე. ცხელი გოგირდის წყალი ახალ კალაპოტს გაჰყვა და დღეღამეში ათასობით ლიტრი წყალი შემატა კურორტის აბაზანებს. ახლა ობოლაძის ბრიგადა ბეტონის სამუშაოებს აწარმოებს. ბიჭები კარგად ართმევენ თავს ახალ პროფესიას. თვეში ისინი 300 გრძივ მეტრ ბეტონს ასხამენ, რაც დავალების 192 პროცენტს შეადგენს.

თბილისის მეტროს პირველი რიგის ამუშავებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა. გ. ობოლაძეს და მის ბრიგადას კარგად ესმით, თუ რა მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. ისევე როგორც ყველა მათი ამხანაგი, ისინიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ახალი წლისათვის მიწისქვეშა მაგისტრალებზე დაიძრნენ ცისფერი ექსპრესები.



ქართული „მწვანე ოქროს" ოსტატებმა შრომაც იციან და დასვენებაც. გაზეთ „სამშობლოს ხმის" ფოტოკორესპონდენტმა მახარაძელი მეჩაიეები სწორედ დასვენების დროს გადაიღო, როცა ისინი ახალ გაზეთებს ეცნობოდნენ.

გუნებრივი პრეპარატი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა პირველად ჩვენს ქვეყანაში დაამზადეს ისეთი ბუნებრივი აბრეშუმის წინდების საცდელი ნიმუშები, რომლებშიც შერეულია კაპრონი და ელასტიკი.

ეს ნაწარმი ლამაზი და გამძლეა. კაპრონის წინდებისაგან განსხვავებით ასეთი წინდები ატარებენ ჰაერის. ამიტომ რევმატიზმითა და ნეკრისის ქარით დაავადებულთათვის სჯობს ასეთი წინდები იხმარონ.

აბრეშუმის წინდების ხანგამძლეობა კაპრონის წინდებთან შედარებით დიდუბეა: მათ მეტი ხასუნის კოეფიციენტი აქვთ და უფრო იშვიათად უვარდებათ თვალი.

ქიმია — ნაყოფიერება

სოხუმი. მთელ აფხაზეთში განთქმულია ჩაის მოსავლით სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები. აქ თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავთ 4.5 ტონამდე ფოთოლი. მეჩაიეობა წლითიწლობით ვითარდება კოლმეურნეობაში. ამაში კი გადამწყვეტ როლს ასრულებს მინერალური სასუქი. მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსავლიანობის ზრდის ამ ეფექტიანი ტიპიური ტრის გონივრულად გამოყენებას. ჯერ კიდევ გასული წლის დამდეგს ხოვატორთა ინიციატივით აქ შეიქმნა აგროქიმიური სკოლა, რომლის მსმენელები იყვნენ ბრიგადირები, მერგოლურები, კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, მეჩაიეები, მემინდვრეები და მეცხოველეები.

აგროქიმიურ სკოლაში მათ დეტალურად შეისწავლეს ჩაის პლანტაციათა ნიადაგების კარტოგრამები, აგროქიმოსთა რეკომენდაციები. შედეგმაც არ დააყოვნა. პლანტაციის ცალკეულ უბნებზე სასუქების სწორი გამოყენების გზით კოლმეურნეობამ 1200 ტონით დაზოგა. გაიზარდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობაც. უკვე გასულ წელს კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის გეგმა 141,6 პროცენტით შეასრულა, საშუალო ჰექტარბრიგამ მოსავლიანობამ შეადგინა 4.429 კილოგრამი. ხოლო მესუთე ბრიგადაში, სადაც პირველად გამოიყენეს აგროქიმია, ჰექტარზე მოიწიეს 5950 კილოგრამი ფოთოლი.

ახლა აგროქიმიურ კარტოგრამებს იყენებენ მეთამბაქოეები და მესიმინდეები. ამის მეოხებით კოლმეურნეობამ ოჩამჩირის რაიონში პირველმა მოიწია თამბაქოს მოსავალი და ახლა წარმატებით აბარებს სახელმწიფოს ოქროსფერ „სამსუნს", კარგი იყო სიმინდის მოსავალიც — აქ საშუალოდ 60 ცენტნერი სიმინდის მოსავალი მოიწიეს ჰექტარზე.



თბილისი — საქართველოს დედაქალაქი. ახალი საცხოვრებელი სახლები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

სიცოცხლის, ჯანმრთელობის დამცველები

სიჯანსაღის შადრევნები

სოხუმი. კიდევ ერთი ჯანმრთელობის შადრევანი შეემატა კურორტ გაგრის ბუნებრივ სამკურნალო საშუალებათა არსენალს. ამას წინათ აქ აღმოაჩინეს მაცესტის ტიპის სამკურნალო წყარო, რომელსაც უკვე იყენებენ. კურორტოლოგებმა შეისწავლეს ახალი წყლის თვისებები და მრავალ ჯანმრთელობის კერას რეკომენდაცია მისცეს სამკურნალოდ გამოიყენონ ეს წყალი.

ახლა აფხაზეთის შავიზღვისპირეთში 170 ჯანმრთელობის შადრევანი სცემს. ამ შადრევნებს ექიმები სამკურნალოდ იყენებენ. შადრევნებმა აფხაზეთს სახელი გაუთქვეს არა მარტო როგორც მთისა და ზღვის კლიმატის მქონე კურორტს, არამედ აგრეთვე როგორც ბალნეოლოგიურ კურორტსაც.

ვინ არ იცნობს ავადჰარის წყაროს, რომელიც ლურჯ მთებსა და მწვანე ტყეებს შორის ჩქეფს. სახელი გაითქვეს სოხუმის რადიოაქტიურმა წყაროებმა, რომლებიც ახლა წყალტუბოსაც კი უწევენ კონკურენციას, წაბლნარის ხეობაში მდინარე ღალიძგის ნაპირას მჩქეფარე „ცხოველმყოფელმა წყალმა“ და „სანაპიროს“ უკვე დიდი სახელი მოიხვეჭა.

მთელი ეს წყაროები ადამიანს ეხმარებიან გულის, ღვიძლის, კუჭის, ნერვული სისტემის, ჰიპერტონიის, რადიკულიტის, რევმატიზმის, იშიაზის მკურნალობაში.

ნაყოფიერი თანამეგობრობა

აი უკვე ხუთ წელზე მეტი ხანია ნაყოფიერად თანამშრომლობენ ქართველი და პოლონელი ფიზიოლოგები. კვლევა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო პროფესორმა გიორგი მჭედლიშვილმა, განაგრძეს პოლონელმა კოლეგებმა სამედიცინო აკადემიის პროფესორ ანდრია კლისეცკისა და ვროცლავის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის რექტორის, პროფესორ თადეუშ გარბუშინსკის ლაბორატორიებში. ისინი ერთად სწავლობენ ტვინის სისხლის მიმოქცევის პრობლემებს — მის მაგისტრალურ სისხლძარღვებს (საძილე არტერიებს), რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა მოშლილობის დროს (ტვინის სისხლის შეგუბება და შემუპება).

ქართველმა და პოლონელმა ფიზიოლოგებმა გამოარკვიეს, რომ ტვინის არტერიებს, გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, არეგულირებენ ნერვული მექანიზმები. სისხლძარღვებში სისხლის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრის მეთოდმა, რომელიც პოლონეთში შეიმუშავეს, ხელი შეუწყო მეცნიერებს შეესწავლათ ტვინის დიდი არტერიების სპაზმების წარმოშობის მექანიზმები. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ავრეთვე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა დოცენტმა ვლადიმერ გაბაშვილმა. მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ სპაზმები წარმოიშობა სუნთქვის დარღვევის, ჰიპერტონიული კრიზისების დროს და სხვ.

ამ ბოლო დროს სულ უფრო განვითარდა საქართველოსა და პოლონეთის ფიზიოლოგთა თანამშრომლობა. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევროპათოლოგიის ინსტიტუტი და ვარშავის სამედიცინო აკადემიის რადიოლოგიის განყოფილება ქართველ სპეციალისტებთან ერთად სწავლობენ ჰემატო-ენცეფალურ ზღუდეს, რომელიც ქმნის ტვინის სისხლძარღვების კედლებს. ამ ზღუდეზე დამოკიდებულია სხვადასხვა ნივთიერების მიღწევა სისხლიდან ტვინის ქსოვილში და მისი უკან დაბრუნება.

თბილისელ და ვარშაველ მეცნიერთა ერთობლივი მუშაობა ხელს შეუწყობს იმას, რომ გაიშიფროს ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის მექანიზმები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოინახოს ამ მექანიზმების მართვის ხერხები. ექიმები შეძლებენ უფრო ზუსტად განსაზღვრონ პროფილაქტიკური და თერაპიული ღონისძიებანი კლინიკაში, რაც დაეხმარება მათ ეფექტიანად ებრძოლონ ტვინის სხვადასხვა ფორმის სისხლჩაქცევას, დარბილებასა და სხვა დაავადებებს.

ქარხნის სანატორიუმში

ბევრი საამჟროა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ერთ-ერთ მათგანს მშრომელები უწოდებენ ჯანმრთელობის საამქროს. ეს არის ღამის სანატორიუმი, რომელიც ლამაზი ხეების ჩრდილში დგას. იმისათვის, რომ აქ იმკურნალო და დაისვენო, საჭირო არ არის აიღო შვებულება ან იყიდო საგზური. დღეში ოთხჯერადი კვება, მკურნალობა, კულტურული მომსახურება მთელი წლის მანძილზე ორმოცდაათივე დამსვენებლისათვის უფასოა.

მუშები და მოსამსახურეები გულთბილად იხსენიებენ თავიანთ სანატორიუმს. მათ მუდმივ მეთვალყურეობას უწევს გამოცდილი თერაპევტი ექიმი მარიამ პატიაშვილი, რომელიც უკვე 17 წელია ქარხნის ჯანმრთელობის კერას განაგებს. დამსვენებლებისათვის დიდად ზრუნავენ მედიცინის დები ნინო ანთიძე, ოლღა გურციაშვილი, სანიტარი ეკატერინე მუხიგულაშვილი.

ტელევიზორი და რადიო, მაგიდის თამაშები, გაზეთები და ჟურნალები, — აი რით ირთობენ თავს დამსვენებლები. აქვეა პლეხანოვის სახელობის კლუბიც, მისი ჩრდილიანი პარკი და სპორტული მოედნები, რომლებიც ქარხნის მეზობლად მდებარეობს.

როდესაც სიბნელე ჩამოწვება, სანატორიუმში სიჩუმე ისადგურებს. თავიანთ წუნარ პალატებში მიდიან ადამიანები, რათა დილისათვის ახალი ძალები მოიკრიბონ და უფრო ბეჯითად იმუშაონ.

ოპერაცია „სიცივე“

პარკინსონის სნეულებას სხვანაირად კანკალა დამბლას უწოდებენ, ამ მძიმე სენით დაავადებულ ადამიანს უკანკალებს ხელფეხი, ზოგჯერ თავი და მთელი ტანიც. თავს იჩენს მოძრაობის შეზღუდულობა. ასეთ ავადმყოფს მუდმივი მოვლა სჭირდება.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ პარკინსონის სნეულებით შეპყრობილი ადამიანის მორჩენა შეუძლებლად ითვლებოდა. და აი ახლახან ნეიროქირურგებმა გამონახეს ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი.

საშინელ სნეულებასთან ბრძოლაში მეცნიერ-მედიკოსებს ეხმარება... სიცივე.

ნეიროქირურგიის ახალი მეთოდის პიონერმა, თვალსაჩინო საბჭოთა აკადემიკოსის წევრ-კორესპონდენტმა ფიზიკოსმა ალექსანდრე შალნიკოვმა და გიორგი ყუფარაძემ შექმნეს ორიგინალური აპარატი, რომლის დახმარებითაც წარმოებს თავის ტვინის ოპერაციები. მისი ძირითადი ნაწილი კახულაა, რომლის ბოლოზეც წარმოიქმნება მინუს 40 გრადუსი ტემპერატურა, ოპერაციის დროს ქირურგებს თავის ტვინის სტრუქტურაში ღრმად შეჰყავთ კახულა, და ამრიგად ყინავენ ტვინის ქსოვილის საჭირო უბანს. მისი დარღვევით, რომელიც გაყინვის შედეგად არის მიღწეული, ავადმყოფს თავიდან აცილებენ კიდურების კანკალსა და მოძრაობის შებოჭილობას.

მებრძოლთა დედა

დღეს საპატიო სტუმრები მყავს. სამხედრო დისციპლინის სიზუსტით, დანიშნულ დროზე მეწვივნენ ომგადახდილნი: გვარდიის თადარიგის პოლკოვნიკი ლადო ლომათიძე და გვარდიის თადარიგის მაიორი რეზო ლოლაძე.

დიდი სამამულო ომის ოცი წლისთავზე ჩემი თხოვნით იხსენებენ გარდასულ გმირულ ამბებს. თვალწინ მეშვლება 51-ე გვარდიული დივიზიის მედსანბატი, ჩემი კოლექტივის ერთსულოვნება და თავგანწირულება ომის პირველივე დღიდან — დამთავრებამდე.

ჩემი სტუმრები მათი თანაფრონტელის, გვარდიის თადარიგის მაიორის ექიმ **კლარა ხოჭოლავას** შესახებ მიამბობენ (გულში ვფიქრობ თვით ამ ორივე ვაჟკაცზე რამდენი დაიწერებოდა!).

და მესმის მათგან ამგვარები:

„სულით უმშვენიერესი ქალი“.

„ეს იყო ვაჟკაცური ადამიანი“.

„დედობას გვიწევდა განურჩევლად ყველას. მისთვის სულერთი იყო ქართველი თუ სომეხი, უკრაინელი თუ თათარი“.



სურათზე: კლარა ხოჭოლავა

„ახლა ყოველ წელს მოინახულებენ ხოლმე თანამებრძოლნი: მედსანბატის უფროსი, უზბეკი ნიაზ კენგილბაევი, ერევნელი პროფესორი ივანე გევორქიანი, ბაქოელი მარია შავიერი და ლენინგრადელი ოლგა კოლომიეცი“.

„არ სჭამდა უჩვენოდ. როცა ცეცხლის ხაზიდან დაჭრილების გამოსაყვანად მივდიოდით, არ დაიძინებდა ჩვენს დაბრუნებამდე და ელავდა“.

„პირველსავე ხანებში, ჩვენი დივიზიის გაზეთმა „მებრძოლთა დედა“ შეარქვა და ეს სახელი შერჩა ბოლომდე“.

კლარა დღეს

რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკაში, პროფესორ ეგნატე ფიფიას ხელმძღვანელობით მუშაობს კლარა ორდინატორად. ვერცხლის წყალივით გაგისხლტებათ ხელიდან, როგორც კი თვით მასზე ჩამოაგდებთ სიტყვას.

ის როგორ იყო, ოპერაციის დროს, მაგიდას ზედ რომ გადაეფარეთ დაჭრილის გადასარჩენად, როდესაც ყუმბარამ შენობას ასანთის კოლოფივით წააცალა სახურავი. თქვენ აიხედეთ და... ჭერის ნაცვლად ცა დაინახეთ... ხელი მაინც არ გაგიჩერებიათ, კაცის სიცოცხლე გებარათ!

ის როგორღა იყო, 1942 წელს მტრისგან სულ რაღაც ასიოდე მეტრის მანძილზე რთულ ოპერაციას რომ განაგრძობდით და ყური არ ათხოვეთ ცხენდაცხენ მოჭრილი კომისრის ბრძანებას — მედსანბატს დაუყოვნებლივ გადაეცვალა ადგილი.

თქვენ ეს უთხარით მხოლოდ:

— წუნარად, დაჭრილები არ ამიღელვოთ!

დღეს ამგვარ კითხვებზე კლარა მოკრძალებით იღიმება და სიტყვა-ძუნწობს.

რა მოხდა! ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო.

დღესაც ისევე, როგორც ახალგაზრდობაში, შესტრფის სიცოცხლეს. აღფრთოვანებით, ბავშვური გულით შეჰხარის ყვავილებს და არაფერი ახალი თუ მშვენიერი არ გამოეპარება მხატვრობასა თუ მწერლობაში, ქანდაკებასა თუ მუსიკაში. იცოდნენ ჩვენი ხელოვნების და კალმის ოსტატებმა: კლარა მათი ჩუმი მოთაყვანეა და ერთ-ერთი პირველი პირუთვნელი დამფასებელი.

შეძახილი გზაზე

სულ ყვავილების ბრალი კია! ერთხელ ფრონტზე ახლად მოსულ კლარას, ომიანობის პირველ გაზაფხულს, დიდ გზაზე რომ იყვნენ გასულები, თვალი მოსტაცა შარაგზის გადაღმით გაღაღანებულმა ყაყაჩოებმა. ის ის იყო, დაჭრილები გაისტუმრეს, თვითონაც წასვლის მოლოდინში იყვნენ.

— თავი დამავიწყდა, — იგონებს კლარა, — ასე მეგონა, ბეთანიის მიდამოებში ვიყავ, ვერ მოვითმინე და ყაყაჩოებს გავეკიდე. შემოყოლია, გამიტყუა ცოტაზე. უცბად ჩემი სახელი მოშესმა. ჩაჭროლილი მანქანიდან ვიღაც მიყვიროდა გამწარებით:

— კლარა, გაგიგუდი? სად მიხვალ, გაბრუნდი უკანვე, რას სჩადიხარ!

— ახლაც არ ვიცი ვინ იყო. გამოვფიზწლდი და უკან მოვკურცხლე. ბედზე მგადავრჩი. ცაში ავარდა ოქაუროზა. არ ვიცი, ვის უნდა ვუმადლოდე!

უნდა გავძლო

ერთი, ორი, ზოგჯერ სამი დღე-ღამის განმავლობაში საოპერაციო მაგიდებს ვერ სცილდებოდნენ ექიმები. დაჭრილი დაჭრილზე მოჰყავდათ. ერთხელ ფეხზეჩამოწყვეტილ კლარას სიმღერა შემოესმა. ქართული სიმღერა საოპერაციოს ფანჯარასთან. გვიანი ღამე იყო, უძილო ღამე. მთვარე დაჰქაქანებდა ჩანახშირებულ არემარეს.

„ურმულს“ „წაიყვანეს თამარ-ქალი“ მოჰყვა. გივი მაჭავარიანი, ლადო და რეზო უმღეროდნენ კლარას. ძალა შეემატა დაქანცულს, გაუთაკეცდა ღონე. ოღონდ ეს იყო, ცრემლები უშლიდა მუშაობას, არამკითხე ცრემლები.

ერთხელაც იყო, სადასტაქარო დანის ხელში აღების თავი რომ არ ჰქონდა და მაჯა აღარ ემორჩილებოდა, პატარა ავადმყოფი მოუყვანეს. სასწრაფო შემთხვევა იყო. ბიჭუნა ახლოს არავის იკარებდა და უუთოდ, ექთანების ჩაგონებით, გაეძახოდა:

— მე ექიმი კლარა მინდა, ის მომარჩენს.

ვერ იქნა და ვერ დააჯერა კლარამ. მე ვარო. ტირილით თავს იკლავდა ბავშვი. იქნებ, ჩვენი კლარას სეხნიას, ვისმე სხვას გულისხმობდა. ლოლიაობის დრო აღარ იყო. გვიანდებოდა მკურნალობა.

კლარას მოთმინება დაელია და უთხრა:

— აღარ არის, მოკვდა ექიმი კლარა!

გაოცებით შეხედა ყმაწვილმა და დიდი კაცივით დაჯერებულმა მიუგო:

— არა, ექიმი კლარა არ მოკვდება არასოდეს. შენ ცუდი ყოფილხარ. დეიდა კლარა დედას და მამას დამიბრუნებს.

— მაშინ მივხვდი, რომ სანამ პირში სული მედგა, ფეხზე უნდა ვმდგარიყავი და არც დაღლის, არც გამოთშვის უფლება არ მქონდა, — ამბობს კლარა.

ზღაპრად გაგონილი

გზა-გზა, გერმანელების მიერ ოკუპირებული დაბა-სოფლების განთავისუფლებისას, უსახლკაროდ დარჩენილი ქალები მიეკედლებოდნენ ხოლმე დივიზიის მედსანბატს. ყველას გამოუნახეს საქმე, თავისუფალ დროს კი ექთანების კურსები გაუხსნეს — საველე კურსები, ნარკოზის მიცემასაც კი დაეუფლნენ ახალბედა სათნოების დები. როგორც კი სისხლის გადასხმა იყო საჭირო, პირველები ისინი გაუწვდიდნენ მკლავს.

— ექიმო, ჩემგან გადაუსხით. ჩემიანები აღარავინ დამრჩენია. სისხლით ძმებს მაინც შევიძენ!

ამ სისხლით და-ძმობაზე ერთი გაუგონარი ამბავი ახსენდება კლარას:

სტალინგრადის გარეუბანში ერთი ძმიმედ დაჭრილი ჭაბუკი გვარად მარტინოვი მოიყვანეს. კარგახანს ყოფილიყო დახმარების გარეშე. ბოდავდა. უგონოდ იყო. ინფექცია ზედ დართოდა. კლარამ უწამლა. კოლბიდან სისხლი გადაუსხა.

დონორთა კოლბებს თან წერილი ახლდა ხოლმე:

„მებრძოლო, მე — ეს და ეს, გიგზავნი ჩემს სისხლს. ამის შემდეგ ჩემი ძმა იქნები. ჯანმრთელობაში მოგახმაროს!“

სულზე მოესწრო ჭაბუკს სისხლის გადასხმა. მომჯობინდა.

ერთ დღეს უეცრად ღრიანცელი ატყდა მწოლიარე ავადმყოფებში. შეშლილივით ღრიალებდა მარტინოვი, ტიროდა და იცინოდა.

მარტინოვმა კლარას შესვლისთანავე სისხლის ცარიელი კოლბა შეაჩერა და მიახარა:

— ღვიძლი და ვიპოვე, ექიმო! ცოცხალი ყოფილა! შინიდან პასუხებს არ ვიღებდი; რა ხანია, დალუპული მეგონა... ამ მისამართით გავაგზავნე და აი, ახლა მიპასუხა!

კლარამ დონორის კოლბაზე დაკრული ეტიკეტი წაიკითხა:

„ქ. მოსკოვის 47-ე სკოლის მასწავლებელი მარტინოვა გიგზავნი ჩემს სისხლს, მებრძოლო. შეგერგოს! ჩემი ერთადერთი ძმა ფრონტზე დავკარგე. მისი დაბრუნების იმედიც დამეკარგა, ახლა ქარხანაში მივდივარ სამუშაოდ. გამოჯანმრთელდი და შური იძიე ჩემი ძმისათვის“.

— ზღაპრებში ხდება ასე, მოულოდნელი და უზომოდ გასახარი, — დასძენს კლარა.

პოლკოვნიკი ბუნინი

კუპენსაის მახლობლად, ფრონტის ხაზზე მუშაობაში ახალჩამბმულ კლარასთან ექთანმა მიირბინა: ავადმყოფი პოლკოვნიკი გიხმობთ. კლარა გამოცხადდა. შუახნის კაცმა საწოლიდან წამოიწია და შუბლზე ნაწიბური უჩვენა:

— არ გეცნობათ?

კლარამ ვერ გაიხსენა.

მერე ტყავის საფულე გახსნა პოლკოვნიკმა და მოწმობა აჩვენა „შუბლის ჭრილობა გაკერილი“... ხელს კლარა ხოჭოლავა აწერდა.

— არც ახლა გეცნობით, ექიმო? მაშინ წამეჩხუბეთ, ზურგში სამკურნალოდ რომ გამიშვით და არ მივდიოდი... მას შემდეგ ეს მოწმობაა ჩემი თილისმა, ტყვია ვედარას მაკლებს!

პოლკოვნიკი ბუნინი იყო. დივიზიის ერთ-ერთ ლეგიონს მეთაურობდა. მალე გენერლის წოდება მიიღო. მეგობრები დარჩნენ ბუნინი და კლარა.

დნეპრის გადალახვისას დაიღუპა ბუნინი, ზედ კიევის განთავისუფლების დღეს.

გრიგოლ ორბელიანი ცეცხლში

სტალინგრადის მისადგომებთან დაბანაკებას რომ აპირებდნენ, ახალმისულ მედსანბატელებს თვალი მოსჭრა ხანძრების სინათლემ. შუაღამისას მთელი არემარე გაჩაღებული იყო. გერმანელებს ცეცხლი წაეკიდებინათ ყველაფრისათვის: იწვოდა სახლები, ზეზეურად იწვოდნენ ცოცხალი ხეები, იწვოდა უზარმაზარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

— გული მომიკვდა, — ამბობს კლარა, — წიგნებმა რა დააშავეს-მეთქი. მთლად მოფენილი იყო ბრიალებული ფურცლებით ბიბლიოთეკის მისავალი, მივავარდი ჩემს ფეხთით გაფანტულ პირველსავე წიგნებს და ერთი ავიტაცე, კიდეები ეფერფლებოდა უკვე, გულზე მივიკარი და ცეცხლი გავაქრე. დავხედე და ცეცხლი მომეკიდა: გრიგოლ ორბელიანის ლექსები იყო, რუსულად თარგმნილი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საქართველო იწვოდა... ნახევრად დანაცრებული და გარუჯული, ცეცხლს გამოგლეჯილი წიგნი თბილისში ჩამოსვლისთანავე იოსებ გრიშაშვილს გადავეცი, ორბელიანის მკვლევარს.

სტუმრად სავოკზლოში

— იცი, რა იყო გენერალი თავართქილაძე? შენ ვერ წარმოიდგენ! მხედართმთავრის ნიჭი და თანდაყოლილი შორსმჭვრეტელობა ჰქონდა, — იგონებს კლარა.

აი, ვინ ჩაუდგა სათავეში მათ დივიზიას 1942 წლიდან.

გერმანელთა სტალინგრადის დაჯგუფების მოსპობას ზედიზედ მოჰყვა ახალი გამარჯვებები. 1943 წლის ნოემბერში, დღესასწაულებზე, თავართქილაძის დივიზიამ ამიერკავკასიაში დელეგაცია გამოგზავნა, სანამ ახალი ბრძოლებისათვის მზადება მიმდინარეობდა. ბაქოს, ერევანს, თბილისს უპატაკეს მოწინავე ფრონტელებმა საბრძოლო გამარჯვებები, ექვს-ექვსი დღე დაჰყვეს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთში. გულუხვად „გამზიათვეს“ სტუმრად ჩამოსული მებრძოლნი ზურგის მშრომელებმა, ათასგვარი საჩუქრები გაატანეს.

მწერალთა კავშირის კლუბში იმ დღეს სახელოვან სტუმრებთან შესახვედრად იმდენი ხალხი შეიკრიბა, ნემსის უყურწი არ ჩავარდებოდა. თავართქილაძის დივიზიის დევ-გმირ ვაჟკაცებს გვერდით სუსტი აგებულების ქალი ედგათ, ჩექმებში „ყელამდე ჩასული“, კლარა ხოჭოლავა, მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი „მებრძოლთა დედა“ (ვისი ჩექმებიც ბაქოს სასტუმროში, ფეხიდან გახდისთანავე ქრებოდა, რომ გაპრიალებული დაებრუნებინათ პატრონისათვის!).

ყვავილების მიწა

ომის გამოცხადების დღესვე გაიწია კლარამ ფრონტისაკენ. არ უშვებდნენ, ნავთლულში შეჩერდნენ ფრონტზე მიმავალი ავტომანქანები. ვაჟკაცები ჩამოხტნენ წუთით. თონის პურები აიტანეს მანქანაზე. კლარა არ გადმოსულა. მარტოდმარტო მიმჯდარი, თბილისს, მთაწმინდას გასცქეროდა განშორებისას.

უცბად, ბღუჯად დაუცვივდა კალთაზე ყვავილები, მინდვრის ყვავილები. მიწიან-ფესვიანად ამოგლეჯილი... ნავთლულელი პატარა ბიჭები იქვე კრეფდნენ და ესროდნენ კლარას — სამხედრო ფორმაში გამოწყობილ უცნობ ქალს.

იციან კი მაშინდელმა ბავშვებმა, რა ლამაზი რამ მოიმოქმედეს?

სასოებით მოხვეტა ქალმა ყვავილების მიწა, ნამცეციც არ დაუტოვებია თავისი კაბის კალთაზე. ეს ჩემი დასამარხი მიწაა საქართველოდანო, — გაიხუმრა და უბეში შეინახა.

იქიდან მოყოლებული ვოლგისპირეთი იყო, თუ ბელორუსია, უკრაინა თუ ავსტრია — ყველგან მოიარა გულჯიბეში შენახულმა ნავთლულის მიწამ. მიემხვრეოდა შუშა, ახალში ჩაყრიდა და ასე ატარა ბოლომდე სამშობლოს მიწა კლარამ, თუ სამშობლოს მიწამ ატარა, თუ სამშობლოს მიწამ ატარა, და შინ მშვიდობით მოიყვანა!

მაყვალა მრევლიშვილი.

„ქართველი მეომრები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე“

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებული იყვნენ საზღვაო ქვეითი ჯარის ზემდეგის ნოე ადამიას გმირობით. იგი სევასტოპოლის გმირ დამცველებთან მხარდამხარ იბრძოდა და ბევრი ფაშისტი გაუტია, მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის ტანკი. რა შეემთხვა შემდეგ ნოე ადამიას, არავინ იცის. როგორც ჩანს, მტრის ჯარებთან უთანასწორო ბრძოლებში დაიღუპა. მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ბევრი ამაღელვებელი ეპიზოდია მოყვანილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ქოჩიაშვილის წიგნში „ქართველი მეომრები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე“, რომელიც ამას წინათ გამოუშვა გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

შრომაში გამოყენებულია საარქივო მასალები, ომის ვეტერანთა მოგონებანი, ომის წლების პრესის ცნობები. წიგნში ნაჩვენებია, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ხალხის შვილები საბჭოთა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის მცხოვრებმა 131 ჯარისკაცმა, ოფიცერმა და გენერალმა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, 55 ათასზე მეტი ქართველი მეომარი დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებით, 100 ათასმა კაცმა მიიღო მედლები.

წიგნი აგრეთვე მოგვითხრობს, თუ როგორ თავდადებულად შრომობდნენ ომის წლებში საქართველოს მუშები, კოლხები და ინტელიგენცია, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ფრონტს იარაღით, საბრძოლო მასალებით, ტანსაცმლითა და პროდუქტებით, ზურგში ჰედდნენ ვერაგ მტერზე ეამარჯვებას.

ნაკაღურ ხაზზეა ეთეროვანი მცენარეები

ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის და კახეთის სხვა რაიონების მეურნეობებში დიდი ფართობები უკავიათ პირამიდული ფორმის ბუჩქებს, რომელთა სიმაღლე ერთ მეტრს აღწევს. ღეროს კენწერო მთავრდება თავთავისებური ყვავილებით, ფოთლები დიდი აქვს. ეს რეჰანია. იგი კარგ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ნოყიერი ნიადაგი, მზის სიუხვე და რწყვა ხელს უწყობს უხვი მოსავლის მიღებას.

ახლა რეჰანს თიბავენ. გადასამუშავებელ საწარმოებს უკვე გაეგზავნათ 1.500 ტონა სურნელოვანი ნედლეული. სეზონის დამლევამდე ქარხნები 11.600 ტონა მწვანე მასას მიიღებენ. ამ ნედლეულისაგან 38 ათასი კილოგრამი რეჰანის ზეთი დამზადდება. ამ ზეთის 80 პროცენტი მეორადი გადამუშავებისათვის გაიგზავნება აბაშის ეთერზეთოვნების ქარხანაში, სადაც მისგან 16 ათასი კილოგრამი იზოვეგენოლის ზეთს დაამზადებენ. ეს მოყვითალო სითხეა, რომელსაც ცხარე გემო და მიხაკის სუნი აქვს. მას იყენებენ პარფიუმერიაში, სპინის წარმოებაში და ამასთანავე საწყისი მასალაა ვანილინისა და ვანილინის მჟავის მისაღებად, იყენებენ აგრეთვე კუპნაწყლავის დაავადების და კბილების მკურნალობისას. იზოევგენოლის რეჰანის ზეთი საზღვარგარეთაც იგზავნება.

ალაზნის ველზე დაიწყო ნემსიწვერას მწვანე მასის მოსავლის აღება. უკვე აღებულია 480 ტონა ძვირფასი ნედლეული. სულ გეგმის თანახმად უნდა დამზადდეს 6.810 ტონა ნემსიწვერა. აქედან 6.810 კილოგრამ ნემსიწვერის ზეთს მიიღებენ, 6 ათასი კილოგრამით მეტს, ვიდრე შარშან.

ნემსიწვერას განსაკუთრებით უხვ მოსავალს მოელიან მარნეულის ეთერზეთოვნების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობაში. გეგმის თანახმად მეურნეობის მუშებმა 1200 ტონა მასა უნდა დაამზადონ. მაგრამ მარნეულელებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს 300 ტონით გადააჭარბონ დავალებას. მურთაზ მამარდაშვილის ბრიგადის წევრებმა ვალდებულება იკისრეს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 200 ცენტნერი ნემსიწვერა — გეგმაზე ერთი-ორად მეტი.

უცვეთელა ძალიან შრომატევადი კულტურაა. ერთი ჰექტარზე ამ ყვავილის მოსავლის აღებას 1.500-ზე მეტი კაცდღე სჭირდება. უცვეთელას პლანტაციებში შრომითი დღე დილის ოთხ საათზე იწყება, პროჟექტორების შუქზე, და დილის შვიდ საათზე მთავრდება. ამ პერიოდში ყვავილი ყველაზე მეტ ზეთს შეიცავს.

გამოცდილი მკრეფავები დღეში ორ კილოგრამ ყვავილს კრეფენ. ხორშის საბჭოთა მეურნეობა — ქარხნის მხოლოდ ოთხი მკრეფავი კრეფს დღეში 3 კილოგრამ უცვეთელას.

რესპუბლიკის მეურნეობებში 15 სხვადასხვა სახეობის ეთერზეთოვანი მცენარე მოჰყავთ. ისინი სხვადასხვა დროს ყვავილობენ და ამიტომ მოსავლის აღება ნაკადურად მიმდინარეობს.

ორი სპეციალობა

...როგორც კი შეხვალთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმედეგობის წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების განყოფილების ლაბორატორიაში, მაშინვე თვალში გეცემათ რეჟიმულ-კლიმატური კამერები. აქ დაკვირვებას აწარმოებს ახალგაზრდა ინჟინერი ლევან გველესიანი. იგი სწავლობს ტემპერატურისა და ტენიანი გარემოს გავლენას თუნუქდი რკინაბეტონის ელემენტების დეფორმაციაზე.

კამერებში, რომლებშიც სხვადასხვა ტემპერატურაა, მოთავსებულია რკინაბეტონის კოჭები — აქ სცდიან ამ კოჭების გამძლეობას. დიდ დროს უთმობს მკვლევარი აგრეთვე ბეტონის ცოცვადობასაც. ცოცვადობა ხომ ძირითადი ფაქტორია, რომელიც იწვევს გათუნებასა და დეფორმაციას ხანგრძლივი დატვირთვის შედეგად.

— სხვადასხვა ტენიანობის გარემოში და ტემპერატურაზე წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის თვისებების შესწავლის ექსპერიმენტი, — თქვა ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. კვიცარიძემ, — ჩვენში პირველად მოეწყო. ამ პრობლემაზე აი უკვე შვიდი წელია მუშაობს ლევან გველესიანი, მალე იგი საკანდიდატო დისერტაციას დაიცავს.

წელს ლაბორატორიაში მოეწყობა წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის თვისებათა უკანასკნელი გამოცდები. ამ მიზნით აქ დაპროექტებულია, ეგრეთწოდებული ძალური იატაკი, რომელსაც 10 ათას ტონა დატვირთვას შეუძლია გაუძლოს.

ლევანი ძლიერ მოუცლელია, მაგრამ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი ხელოვნებასაც არ ივიწყებს. ლ. გველესიანი ბავშვობიდანვე საათობით აკვირდებოდა სოფელ მეთუნეთა მუშაობას, იზიდავდა თიხის სუნი, ხშირად თვითონაც მუშაობდა. მისი მასწავლებლები იყვნენ ნიჭიერი მშრომელი კერამიკოსები, რომლებიც ძველთაგანვე განთქმული იყვნენ თავიანთი ოსტატობით.

1949 წელს ლევანი სტუდენტი გახდა. საზაფხულო არდადეგებს, ისევე როგორც სკოლის წლებში, სოფელ შრომაში ატარებდა და განაგრძობდა მეთუნეობას. დიდ სიხარულს ჰგვრიდა საკუთარი ხელით ნაყენები კერამიკა. ეს უკვე მომწიფებული ოსტატის ნამუშევარი იყო. ლევანი არც ახლა ივიწყებს საყვარელ საქმეს. აკეთებს დეკორატიულ სურებს, ღვინის დოქებს, სხვადასხვა პატარა ნივთებს, რომლებმაც ხალხური შემოქმედების სახლის სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ლექციებს კითხულობენ მაღაროელები

ჰიათურა. ახალი ითხვისის მაღაროს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გიორგი ბაქრაძე თანამოსაქმეთა შორის ცნობილია, როგორც ნოვატორი მაღაროელი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი და მოწინავე მუშაობის მეთოდების პროპაგანდისტი. ის პრაქტიკულ საქმიანობას კარგად უთავსებს თეორიულ ცოდნასაც. არის მოხსენებელთა ჯგუფისა და საზოგადოება „ცოდნის“ ჰიათურის საქალაქო განყოფილების ლექტორი.

ამ დღეებში გ. ბაქრაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „დაბურღვის ჩემი ჩქაროსნული მეთოდი“, რომელსაც დაესწრო მაღაროს მრავალი მუშა-მოსამსახურე.

20-მდე ჰიათურელი ნოვატორი მაღაროელი მონაწილეობს ლექციურ პროპაგანდაში.



სურათზე: ენგურის საფუარის ქარხნის სასეპერაციო საამქროში.

ეს ადამიანი 40 წელია მძიმე სენმა ლოგინად ჩააგდო. სამოქალაქო ომის მონაწილე, თავისი ხალხის მებრძოლი ანდრო სინაური ვერ გატეხა ბედმა. მწყობიდან გამოსულმა ჯარისკაცმა შამხანა შეცვალა კალმით, რითაც მუსრს ავლებდა ახალი ცხოვრების მტრებს.

დაუღალავი მებრძოლი ახლა საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას უმღერის. მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები და ნარკვევები სიხარულსა და სიამოვნებას გვრის მისი ნიჭის თაყვანისმცემელ მრავალრიცხოვან მკითხველს.


ახლაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა პოეტი. მისი ლექსების კრებული „სამშობლოს ყვავილნარში“ აღფრთოვანებით მიიღეს მკითხველებმა.

ბევრი სიხარული მოჰგვარა პოემებმაც „ბოროტსა სძლია კეთილმა“ და „საჩუქარმა“, რომლებიც დაწერილია დიდი სამამულო ომის თემებზე.

ა. სინაურმა უკვე მოამზადა დასაბეჭდად დოკუმენტურ-მემოარიალური ნოველების პირველი წიგნი და მუშაობს მეორე წიგნზე.

ამ დღეებში ა. სინაურს სტუმრად პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე ეწვია. მასპინძელმა ცნობილ პოეტს თავისი ახალი ნაწარმოებები გააცნო.

სურათზე: პოეტი აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე სტუმრად პოეტ ანდრო სინაურთან.



სოფლის კულტურის კერა

თელავი. ორი წლის წინათ სოფელ იყალთოში გამოჩნდა აფიშები, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი აცხადებს მსმენელთა მიღებას. ახლახან კი გაიმართა სოფლის უნივერსიტეტის პირველი გამოშვება. 150 კოლმეურნემ, მუშამ, მდგლობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მიიღეს დიპლომები ამ უნივერსიტეტის დამთავრების შესახებ.

უნივერსიტეტში არის ოთხი კათედრა: პოლიტიკური და საზოგადოებრივ მეცნიერებათა, სოფლის მეურნეობის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მედიცინის კათედრები.

ორი წლის მანძილზე „სტუდენტებმა“ მოისმინეს დაახლოებით ასი ლექცია საქართველოსა და ჩვენი კვეყნის ხალხთა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერების, ტექნიკისა და მედიცინის უკანასკნელი მიღწევების შესახებ.

ლექციების გარდა უნივერსიტეტი აწყობს პრაქტიკულ სემინარებს, ექსკურსიებს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ზეპირ ჟურნალებს, სამეცნიერო-საწარმოო კონფერენციებს, დისპუტებს.

თემატური საღამოები, რომლებსაც მსმენელები აწყობენ, იყალთოელთა საერთო ინტერესს იწვევს. ხშირად სოფლის კლუბი ვერ იტევს ყველა მსურველს.

უნივერსიტეტის მსმენელებმა მოაწყეს იმ გმირ თანასოფლელთა სტენდები, რომლებიც ომის წლებში დაიღუპნენ. მოეწყო საზეიმო საღამო — „ქართველები დიდ სამამულო ომში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელგანთქმულმა პარტიზანებმა — საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ბაქრაძემ, იტალიაში წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიურმა მონაწილემ მ. გონგლაძემ და სხვებმა.

იყალთოელთა ცხოვრებაში რელიგიური დღესასწაულის „ამაღლების“ ნაცვლად შემოვიდა ახალი სახალხო დღესასწაული „შოთაობა“, რომელსაც აღნიშნავენ მაის-ივნისში უნივერსიტეტის მსმენელთა ინიციატივით.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის სოფელში განზრახულია მოეწყოს მისი სახელობის მუზეუმი, მთლიანად დამთავრდეს რადიოფიკაცია, სოფლის კინომოყვარულთა ძალებით გადაიღებენ ფილმს „იყალთოს ქრონიკები“.

„სომხეთის არქიტექტურა“

გამოჩენილმა საბჭოთა ხელოვნებათმცოდნემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა დაამთავრა გამოცემა „სომხეთის არქიტექტურა“. მონოგრაფიაში დაწვრილებით გარჩეულია სომხეთის ორმოცდაათამდე უძველესი არქიტექტურული ძეგლი.

როგორც გ. ჩუბინაშვილმა თქვა, ამ შრომის დაწერის საბაბი იყო ვენის უნივერსიტეტის პროფესორის სტრიგოვსკის ორტომიანი გამოცემა „სომხების არქიტექტურა და ევროპა“ რომლის ბევრ დებულებას ქართველი მეცნიერი არ ეთანხმება.

სტრიგოვსკის წიგნში ცალმხრივად არის განხილული სომხეთის არქიტექტურა, უარყოფილია ქართული ხელოვნების თავისებურება, საეჭვოა მთელი რიგი ქრონოლოგიური მონაცემები. ბევრი ძეგლი სწორად არ არის დათარიღებული. მეცნიერები შეუმოწმებლად სარგებლობდნენ ისტორიკოსთა ცნობებით, ამ ცნობების მიხედვით ისტორიკოსებს მთლიანად გამორჩათ ორ საუკუნეზე მეტი — VII-IX საუკუნეები.

აკადემიკოსმა ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს აკადემიკოს ნ. ი. მარის ხელმძღვანელობით გაიარა სომხური ხელოვნების კვლევის დიდი სკოლა. იგი მონაწილეობდა შუა საუკუნეების სომხეთის დედაქალაქ ანის გათხრებში, ხოლო აკადემიკოს მარის არყოფნის დროს თვითონ ხელმძღვანელობდა ამ ექსპედიციას.

ნ. ი. მარმა ახლებურად გააშუქა სომხეთის ისტორიის მთელი რიგი მოვლენები, დააზუსტა ანისა და მისი მეზობელი პროვინციების მთელი რიგი არქიტექტურული ძეგლების შექმნის თარიღები. გამოიკვლია სომხეთის ხელოვნებისა და სხვა ხალხთა კულტურის ურთიერთკავშირი. ამ მიზნით მოეწყო სპეციალური ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ არქიტექტორები, სომხეთისა და საქართველოს მკვლევარნი.

„მთელი ეს მასალა ახლა, 50 წლის შემდეგ განვაზოგადე. ჩემს ახალ მონოგრაფიაში, უწინარეს ყოვლისა, მინდოდა მომეცა სომხეთის გუმბათოური არქიტექტურის სურათი, რისთვისაც გამოვიყენე VII-IX საუკუნის ძეგლები“, — ასე დახასიათა თავისი ახალი ნაშრომი ქართველმა მეცნიერმა.

ამას წინათ აკადემიკოსმა ჩუბინაშვილმა რომის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტს გაუგზავნა სტატიები ქართული და სომხური ხელოვნების შესახებ მსოფლიო ხელოვნების ენციკლოპედიისათვის, რომელიც იტალიურ და ინგლისურ ენებზე გამოვა.

უძველეს ქალაქთა სამეფოში

მწკრივად დგანან ვეებერთელა სეიფები, რომლებშიც აწყვია საქაღალდეები, შეკვრები, კოლოფები. აქ ინახება მილიონობით სხვადასხვა დოკუმენტი. ბევრი რამ შეუძლია გაცნობონ ისტორიის ამ უტყვმა მოწმეებმა. ისინი გვიამბობენ ლევ ტოლსტოის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკისა და სხვების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აქვეა ბევრი უნიკალური ძეგლი, რომელიც პერგამენტზეა დაწერილი. მათ შორის არის IX საუკუნის ოთხთავი, სიგელი ეკლესიათა მამულების შესახებ, რომელიც კათალიკოს მელიქსედეკს მიუცია 1020 წელს მცხეთის ტაძრისათვის, დავით აღმაშენებლის ნასხერბლიძის სახელზე გაცემული სიგელი, რომელიც სამხედრო დამსახურებისათვის მამულს უმტკიცებდა.

ესაა და ათეული ათასობით სხვა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ინახება საქართველოს სსრ თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

არქივის დირექტორთან აბესალომ იოვიძესთან ერთად დავიარეთ არქივის ვრცელი „სამფლობელოები“.

— ბევრის წარმოდგენით, — ამბობს იგი, — არქივი ეს არის საქაღალდეები, რომლებსაც საუკუნეთა მტვერი აძევს. მაგრამ საქმე ასე როდია. სწორედ აქ განაგრძობენ დოკუმენტები სიცოცხლეს, მეცნიერ-მკვლევართა ფართო წრის საკუთრება ხდება. ჩვენს არქივში ისტორიული მასალების ძიებაში ბევრი დრო გაატარა „დიდი მურავის“ ავტორმა ა. ანტონოვსკაიამ. აქ მუშაობდნენ პოეტი ი. გრიშაშვილი, მწერალი ი. ანდრონიკოვი, აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი და ბევრი სხვა. ჩვენი არქივის მასალებით ფართოდ სარგებლობენ მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებიც. ყოველთვიურად არქივის ფონდები ივსება ახალი საინტერესო დოკუმენტებით. საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ბაქრაძემ ახლახან არქივს გადასცა თავისი წერილები, დღიურები, მოგონებანი, ფოტოსურათები. მის მაგალითს ბაძავენ დიდი სამამულო ომის სხვა მონაწილენიც.

რესტავრაციისა და მიკროფოტოგრაფირების სპეციალურ ლაბორატორიაში მაგიდებზე აწყვია ჟამთა სიავისაგან გაყვითლებული ძველი ტექსტები და მანუსკრიპტები. ლაბორატორიის თანამშრომლები თ. სახოკიას ხელმძღვანელობით სიცოცხლეს უბრუნებენ დოკუმენტებს.

არქივის თანამშრომლები მეცნიერ-კვლევის მუშაობასაც ეწევიან. ახლახან გამოვიდა „ისტორიის მოამბის“ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს პერიოდული კრებულის მე-18 ტომი. მის შედგენაზე არქივის მუშაკებიც მუშაობდნენ. ამჟამად არქივის მუშაკები მუშაობენ „საქართველოს ისტორიის ქრესტომათიაზე (1783-1921 წლები)“. ეს სახელმძღვანელო გათვალისწინებულია საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის.

კატალოგების შედგენაზე, საარქივო ფონდების სისტემატიზაციისა და მოწესრიგებისათვის ბევრს მუშაობენ თანამშრომლები თ. ბატლიაშვილი, ნ. ლებანიძე, თ. ზამანოვა, დ. მანჯგალაძე, ს. სიტნიკოვა, ხ. ხვედაძე და სხვები. ისინი ძალღონეს არ იშურებენ, რომ არქივის ფონდები მთლიანად მეცნიერებასა და კულტურას ემსახურებოდეს.

დროგობიჩის საპატიო მოქალაქე

საქართველოს რესპუბლიკურ სამხედრო კომისარიატში ტელეფონის ზარი გაისმა. რეკავდნენ დროგობიჩიდან, იკითხეს, სად ცხოვრობს ამჟამად პოლკოვნიკი ქანთარია — დროგობიჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილე. კომისარიატის მუშაკებს სთხოვეს ეცნობებინათ ენუქი ქანთარიასათვის, რომ მას ქალაქ დროგობიჩის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

მალე თბილისში მიიღეს უკრაინის კომპარტიის დროგობიჩის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ღამაზად გაფორმებული დადგენილება.

7 სექტემბერს ეს ღირსშესანიშნავი დოკუმენტი საზეიმოდ გადასცეს ე. ი. ქანთარიას ოქტომბრის რაიონის სამხედრო კომისარიატში.

33 წელი იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში ენუქი ქანთარიამ და რიგითი წითელარმიელისა და კურსანტიდან მსროლელთა პოლკის მეთაური გახდა. ეგი წითელ არმიაში შევიდა 1921 წელს და იარაღით ხელში მონაწილეობდა საქართველოს მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

დიდ სამამულო ომის წლებში ე. ი. ქანთარია იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე, მონაწილეობდა ბრძოლებში პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის. ქანთარია დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სამი წითელი დროშის ორდენით, სუვოროვის მესამე ხარისხის ორდენით, ალექსანდრე ნეველის ორდენით, კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენით და მრავალი მედლით. გარდა ამისა იგი დაჯილდოებულია მედლით იმისათვის, რომ აქტიურად დაეხმარა სლოვაკთა აჯანყების მონაწილეებს ფაშისტური ოკუპანტების წინააღმდეგ.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ 1954 წელს კომუნისტი ქანთარია აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დიდი სამამულო ომის ვეტერანი ხშირად ესაუბრება და მოკავშირეებს უზიარებს ახალგაზრდობას და ამით ხელს უწყობს მათ აღზრდას ჩვენი ხალხის სახელოვანი რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციების სულისკვეთებით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ენუქი ქანთარია დაჯილდოებულია სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საპატიო სიგელით.

წიგნის მოყვარულთა მეგობარი



ამ სიმპათიურ გოგონას შეიძლება შეხვდეთ შორეულ მეცხოველეობის ფერმებსა და მინდვრის ფარდულებში, საგაზაფხულო საძოვრებსა და კოლმეურნეთა ბინებში. ხელში მას ყოველთვის წიგნის დიდი შეკვრა უკავია.

პატივს სცემენ მენჯელები თავის ბიბლიოთეკარს დოდო ჯორჯიკას. იგი სოფლის მრავალი წიგნისმოყვარულის კარგი მეგობარი და მრჩეველია.

სოფელ მენჯის ბიბლიოთეკაში 500-ზე მეტი ტომი სხვადასხვა ლიტერატურაა. აქ შეიძლება მონახოთ ლიტერატურა ცოდნის სხვადასხვა დარგში. მდიდარია მხატვრული და საზოგადო-სამეურნეო ლიტერატურის განყოფილებანი.

სოფლის ბიბლიოთეკის თანამშრომლები მონდომებით ნერგავენ მოსახლეობის მომსახურების პროგრესულ ფორმებს. აქ სისტემატურად სწავლობენ მკითხველთა მოთხოვნილებებს, მათს სურვილებსა და წინადადებებს. ხშირად ტარდება მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული დილა-საღამოები. კოლმეურნეებს, რომლებიც სოფლიდან დაშორებით მუშაობენ, აგრეთვე შრომის მოხუც ვეტერანებს შეუძლიათ შეუკვეთონ წიგნები და ბიბლიოთეკარები სამუშაო ადგილას ან სახლში მიაკითხავენ მათ.

სურათზე: ზუგდიდის რაიონის სოფელ მენჯის ბიბლიოთეკარს დოდო ჯორჯიკას წიგნები მიაქვს მეცხოველეობის ფერმის მუშაკებთან.

კადრების სამჭედლო

ბათუმი. ჩვენს კვეყანაში პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულებანი, რომელთა თანახმად ავტონომიური რესპუბლიკის დაწინაურებული ინჟინრის, დამსახურებული ტექნიკოსისა და დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო სიგელებით დაჯილდოდეს ბათუმის №1 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მუშაკთა ჯგუფი.

5 წლის განმავლობაში სასწავლებელმა მრეწველობის საწარმოებს მოუმზადა სამი ათასზე მეტი სპეციალისტი. ბევრმა მათგანმა გაანგარო სწავლა და გახდა კვალიფიციური ინჟინერი და ტექნიკოსი.

მრეწველობის საუკეთესო კადრების მომზადებისათვის ბათუმის პროფტექნიკურ სასწავლებელს არა ერთხელ დაუმსახურებია საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მუშაობის შედეგებით ამ სასწავლებელმა ერთხელ კიდევ დაიკავა პირველი ადგილი საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა შორის.

ბათუმის პირველი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი რესპუბლიკის უძველესი სასწავლებელია. ეგი 76 წლისაა. საინტერესოა, რომ აქ სწავლობდა ცნობილი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, ხოლო სასწავლებლის აღზრდილი ოთარ კაკაბაძე, სერგო ტიხონოვი, რევაზ ჩაკვეტაძე, ანატოლ კრასნოვი, ვალენტინ ღესნევიჩი ახლა ამავე სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატები არიან.

ახლა აქ მეცადინეობს 430 მოსწავლე, რომლებიც სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან. გასულ წელს სასწავლებელმა პირველად დაიწყო სავაჭრო ფლოტისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება.

სადაც ტრიალი მინდორი იყო

იქ, სადაც სამგორის მეფრინველეობის ჯიშთაძასანაშენო საბჭოთა მეურნეობაა, რამდენიმე წლის წინათ ტრიალი მინდორი იყო. ეს რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალიზებული მეურნეობაა, საიდანაც მოსახლეობა იღებს მილიონობით კვერცხს, დიდძალ ხორცს. მეფრინველეობა აქ ინდუსტრიულ საფუძველზე განვითარდა. მექანიზებული და ავტომატიზებულია ქათმების, წიწილების მოვლის სხვადასხვა პროცესი. საბჭოთა მეურნეობაში ნახავთ ავტომატურ საფრინველეს, რომელიც ერთადერთია ჩვენს კვეყანაში. ავტომატურ საფრინველეში კვება და დარწყულება, საკელისაგან შენობის გასუფთავება და სხვა სამუშაოები სამართავი პულტიდან წარმოებს. თითოეულ რატორულ დანადგარში (ასეთი დანადგარი ოცია) 800 წიწილაა. როტორულ დანადგარებს ემსახურება ერთი მეფრინველე. ავტომატის შემოღების შემდეგ შრომის ნაყოფიერება რვაჯერ გაიზარდა, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ათი წლის წინათ რესპუბლიკაში იყო ერთი მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 2.700 ათას ცალ კვერცხს და 1000 ცენტნერ ხორცს იძლეოდა. ახლა ჩვენ გვაქვს 7 დიდი სპეციალიზებული ფაბრიკა და 3 საბჭოთა მეურნეობა, 22 მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური, 24 საკოლმეურნეობათაშორისო და მთელი რიგი საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმები. შენდება კიდევ რამდენიმე ფაბრიკა. მათ შორის საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც გათვალისწინებულია 200 ათასი მოქცეულისათვის, წყალტუბოს — 100 ათასი მოქცეულისათვის და საჩხერის — 50 ათასისათვის. თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ კოდის მახლობლად მონიშნულია ადგილი, სადაც აიგება სახორცე წიწილების მოსაშენებელი ფაბრიკა, რომელიც პირველი იქნება საქართველოში. ფაბრიკა ყოველწლიურად მოგვცემს ორ მილიონ კილოგრამ დიეტურ ხორცს. ასეთი ფაბრიკა მცხეთის რაიონშიც უნდა აშენდეს. ამ კურსის მიზანია, რაც შეიძლება მთლიანად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი მეფრინველეობის პროდუქტებზე.

ახალი საწარმოები აღიჭურვება გაუმჯობესებული მანქანებით, მექანიზმებით, ავტომატებით, რომლებსაც შექმნიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები. ასეთია, მაგალითად, კომპლექსური ელექტრომექანიზებული დანადგარი კემ-35, რომელიც უზრუნველყოფს მშრალი და ტენიანი საკვების ავტომატიზებულ განაწილებას, კვერცხების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას, ფრინველისათვის წყლის მიწოდებას, საფრინველეების ვენტილაციას.

. . .


ბიჭვინთიდან მიმავალი გზის გაყოლებით მაღალი ღობე გადაჭიმულა, ამ ღობის უკან ფრინველთა სამყაროა. ეს მეურნეობა გაგრის მეფრინველეობის ფერმას ეკუთვნის. ვრცელ ბატარეებში, ასე უწოდებენ აქ საფრინველეებს, 320 ათასი ქათმია. მარტო მოქცეული აქ ასი ათასზე მეტია. ცხოვრება ფრინველთა სამყაროში ინკუბატორებში იწყება. ყოველ ექვს დღეში 9,5 ათას წიწილას გზავნიან ინკუბატორებიდან მოზარდეულის საამქროში.

მწვანე სეივნებში ჩამწკრივებულა საფრინველეები. სეირანიან ეზოებში ფრინველთა გუნდებია.

თავისუფლად გრძნობენ თავს მოქცეულები. აქ თბილა. ქათმებს კვებავენ დაწესებული რაციონების დაცვით. თეთრხალათიანი ქალიშვილები დღეში რამდენჯერმე ავროვებენ კვერცხს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, კვერცხს აგროვებს სპეციალური მანქანა, ისინი კი მხოლოდ კონვეიერიდან იღებენ კვერცხებს და ყუთებში ფუთავენ გასაგზავნად.

ფაბრიკაში ფართოდ იყენებენ მექანიზმებს. ბევრ ბრიგადაში მექანიზებულია საკვების დარიგება, წყლის მიწოდება და კვერცხის შეგროვება. თუ წინათ 27 ათას მოქცეულს უვლიდა თორმეტი მეფრინველე, ახლა ამ საქმეს ოთხი მეფრინველე ასრულებს.

მექანიზაცია ახალ დიდ პერსპექტივებს უსახავს ფაბრიკას. ინერგება დიდმწარმოებლური მექანიზმები, ავტომატიკა, ფართოვდება საფრინველეები. უკვე მიმდინარე წელს აქ აშენდება 90 ათასი კვერცხისათვის გათვალისწინებული ინკუბატორი, საწიწილე ასი ათასი ფრთა ფრინველისათვის და სამი ფართოგაბარიტიანი საფრინველე.



სპორტული ივერიობა

დაგეძებენ, მოგელიან

სალთხუციშვილს სოკრატ იოსების-ძეს, დაბადებულს 1912 წელს, ეძებენ მეულლე — ელენე სიმონის ასული სალთხუციშვილი და შვილები — ჰამლეტ, ნუნუ, ინიზა სალთხუციშვილები.

გაჩეჩილაძეს მირიან ონისიმეს-ძეს, დაბადებულს, 1920 წელს, სოფელ შორაპანში, ეძებენ დედა — ვერიჩა (ვერა) ვასილის ასული, დები თამარ და ნაზიკო, ძმა დათუა (დავით) ონისიმეს-ძე გაჩეჩილაძეები.



სურათზე: ს. სალთხუციშვილი (მარცხნივ) და მ. გაჩეჩილაძე.

ნონასთან ერთად

რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საჭადრაკო დარბაზი, სადაც მსოფლიო პირველობის საჭადრაკო მატჩი მიმდინარეობს ქალთა შორის, **400** მაყურებელს იტევს. მაყურებელთაგან ბევრი უკვე იცნობს ამ ჭაღარა მაღალმაღალ ქალს, რომელიც პუნქტუალურად მოდის ხოლმე მატჩის მორიგი პარტიის დაწყებისათვის და ადგილს იკავებს პირველ რიგებში. ვინც პირადად იცნობს მას, მოწიწებით ართმევს ხელს, სხვები კი ალერსიანად უღიმიან.

ეს არის ნონას დედა ვერა თადეოზის ასული. იგი ყველაზე მეტად განიცდის ბრძოლის პერიპეტიებს, რაც ჭადრაკის დაფასა და სცენაზე ხდება. ხანდახან დაიხრება ხოლმე გვერდით მჯდომი ვაჟისაკენ მურად გაფრინდაშვილისაკენ და ხთხოვს „განუმარტოს“ სადემონსტრაციო დაფაზე შეცვლილი სიტუაცია. მურადი რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ინჟინერია, ამავე დროს პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე არის. იგი მატჩზე საქართველოს ახალგაზრდული გაზეთის წარმომადგენელია. ხოლო მატჩის მსვლელობის დროს ძალიან ჩუმად, რომ მეზობლებს არ შეუშალოს ხელი, ჩემპიონის ძმა დედას აცნობს სიტუაციას.

მათ გვერდით ზის შავთმიანი ქალიშვილი, და ყველაფრიდან ჩანს, რომ გატაცებით ადევნებს თვალს ბრძოლის ბატალიებსა და შესაძლო ვარიანტებს, რომელსაც ხედავს თავის ჯიბის ჭადრაკზე. როგორ არ უნდა განიცადოს! იგი ჩემპიონის მეგობარი მარინე ჩომახიძეა, რომელიც ნონასთან ერთად სწავლობს და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის წარმომადგენელია.

ნონა? მან მორიგი სვლა გააკეთა და მშვიდად სცემს ბოლთას სცენაზე, ხანდახან გადახედავს ხოლმე დარბაზს. როცა დედის მზერას დაიჭერს, ნონა იღიმება, თითქოს ეუბნებოდეს:

— ნუ გეშინია დედა, ყველაფერი რიგზეა.

□ მატჩის გედი გადაწყვეტილია □ კიდევ ერთი ჩემპიონი □ ახალი რეკორდი □ სპორტული თამაშები

◆

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ მატჩის ანგარიში მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილსა და ა. კუშნირს შორის 1:1 იყო.

დღევანდელ უკვე ნათამაშევია რვა პარტია და მატჩის ბედიც ფაქტიურად გადაწყვეტილია, მაგრამ სჯობს თავიდან მოვყვეთ ყველაფერს.

მესამე პარტია. ლაზიერის მიღებული გამბიტი. შეხვედრა გადაიდო ეტლების ენდშპილში, სადაც პრეტენდენტს ზედმეტი პაიკი ჰქონდა. როგორც ანალიზმა ცხადყო, ეს არ იყო საკმარისი და მოწინააღმდეგენი 72-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 1,5:1,5.

მეოთხე პარტია. თეთრებით მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობს. ესპანური პარტია. ნ. გაფრინდაშვილმა ახალი გაგრძელება აირჩია, თუმცა ამას უპირატესობა არ მიუცია. დებიუტიდან მეტოქეები ორმხრივი შესაძლებლობებით გამოვიდნენ. 32-ე სვლაზე ნონამ პაიკი შეწირა და გახსნა ზაზი საიერიშოდ. რამდენიმე სვლის შემდეგ მან პაიკი დაიბრუნა და შეხვედრა გადაიდო 43-ე სვლაზე. მეორე დღეს პრეტენდენტმა თამაშის განუსაზღვრელად დათმო პარტია. ანგარიში გახდა 2,5:1,5 ჩემპიონის სასარგებლოდ.

მეხუთე პარტია. ნ. გაფრინდაშვილმა შავებით კვლავ ლაზიერის გამბიტს მიმართა. დასაწყისში პარტია დაემთხვა მ. ბოტვინიკ-ტ. პეტროსიანის მატჩის ერთ-ერთ შეხვედრას. მაგრამ შემდეგ ნონამ გადაუხვია ცნობილ გაგრძელებას. ამან დაფიქრა პრეტენდენტი, რომელმაც ვერ გამონახა დაცვის სწორი გზა და შეცდომა დაუშვა. ამით ისარგებლეს შავებმა და ეტლით მოწინააღმდეგის ბანაკში შეიჭრნენ. თუმცა პარტია გადაიდო, მაგრამ მისი შედეგი ეჭვს არ იწვევდა. მეორე დღეს ა. კუშნირი თამაშის განუსაზღვრელად დანებდა. ანგარიში გახდა 3,5:1,5.

მეექვსე პარტია. კვლავ ესპანური პარტია. ნ. გაფრინდაშვილი თეთრებით არ ცდილობს ბრძოლის გამწვავებას. შეხვედრა მშვიდად მიმდინარეობს. 30-ე სვლაზე ა. კუშნირის წინადადებით მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. 4:2, მიჰყავს მსოფლიოს ჩემპიონს.

მეშვიდე პარტია. კვლავ ლაზიერის გამბიტი. თეთრებით ა. კუშნირი თამაშობს. მეტოქეებმა სწრაფად გაითამაშეს დებიუტი. გამოირკვა, რომ დებიუტის შედეგად ა. კუშნირმა ვერ მიაღწია უპირატესობას. უფრო მეტიც, მას არ ჰქონდა აქტიური ოპერაციების წარმოების საშუალება, მაშინ, როდესაც ჩემპიონი მეთოდურად და ძლიერად თამაშობდა. ეს პარტიაც გადაიდო. ნონას ზედმეტი პაიკი ჰქონდა ეტლების ენდშპილში.

მეორე დღეს პარტია კვლავ გაგრძელდა. ნ. გაფრინდაშვილი ზუსტად თამაშობდა და გამარჯვებამდე მიიყვანა შეხვედრა, მატჩის ანგარიში გაიზარდა — 5:2.

მერვე პარტია. აქამდე მეტოქენი მხოლოდ ორ დასაწყისს იყენებდნენ, ეს იყო ლაზიერის მიღებული გამბიტი და ესპანური პარტია. პირველად სიახლე მერვე პარტიაში გამოჩნდა, როდესაც ნ. გაფრინდაშვილმა თეთრებით ოთხი მხედრის დებიუტი აირჩია.

ამ შეხვედრაში მოვლენები სწრაფად განვითარდა. ა. კუშნირმა იერიში წამოიწყო მეფის ფრთაზე და ამით თვით დაასუსტა თავისი მეფის საფარი. ჩემპიონმა დამშვიდებულად მოიგერია მუქარები და შემდეგ თვით გადავიდა შეტევაზე. 32-ე სვლაზე, როდესაც შავებს უკვე დაკარგული ჰქონდათ ორი პაიკი და მესამესაც კარგავდნენ, პრეტენდენტმა გააჩერა საათი და გამარჯვება მიულოცა ჩემპიონს.

ამრიგად, დღევანდელ მატჩის ანგარიში ისინი თითქმის ფინალურ სასტვენამდე იგებდნენ ორთაბძოლას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მასპინძლებმა გაქვითეს ანგარიში — 1:1. წარუმატებლად გამოდიან ქუთაისელი ფეხბურთელები. მათ მიმდინარე სეზონში არც ერთი გასვლითი მატჩი არ მოუგიათ. მორიგი შეხვედრაც უფერულად ჩაატარეს ტორპედოელებმა და მინსკში ანგარიში — 0:4 დამარცხდნენ ადგილობრივ „დინამოსთან“ შეხვედრაში. ჩემპიონატის ბოლომდე ავტოქარხნელებს კიდევ შვიდი მატჩი აქვთ. არა გვგონია მათ შეეძლოთ მაქსიმალური ქულების (14 ქულა) დაგროვება. როგორც ჩანს (და ეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს) ქუთაისელი ფეხბურთელები იძულებული იქნებიან დატოვონ უმაღლესი ლიგის რიგები.

ო. ლორთქიფანიძე.

◆ ◆ ◆

სურათებზე: ქვემოთ —მიმდინარეობს მატჩის ერთ-ერთი პარტია, მარჯვნივ — ნონა გაფრინდაშვილი, მარცხნივ — ალა კუშნირი; მატჩისაგან თავისუფალ დროს მსოფლიო ჩემპიონს ძალიან უყვარს ჩოგბურთის თამაში (სურათი ზემოთ).





მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25